# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

119

დამატების № 163. ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი 1903 წ. გაზეთის № 2308.

# დარიგება

**მარსელ პრევოსი.**

გუშინ დავბრუნდი პარიზში, ჩემო ძვირფასო პოლ, ვცხოვრობ იმავ ჰოლანდიის მოედანზედ, რომელიც მუდამ ამიშლის ხოლმე მწარე მოგონებებს. დღეს რამდენიმე ნაცნობი მანდილოსანი სადილობდა ჩემთან. იმათგან გავიგე, რომ თქვენ ჯვარს იწერთ...

რა თქმა უნდა, რომანსის სიტყვებს არ წამოვიძახებ და არ ვიტყვი, ამ წუთშივე თავს მოვიკლავ მეთქი, მაგრამ მწყინს კი. მწუხარებამ შემიპყრო, როდესაც წარმოვიდგინე, რომ თქვენ თავს მანებებთ. ვწუხვარ განსაკუთრებით უფრო იმიტომ, რომ საიდუმლოდ სცდილობდით, რაც შეიძლება, საჩქაროდ მოგეწყოთ თქვენი საქმეები... როგორ, ნუთუ ასეთი შედეგი და ბოლო უნდა მოჰყოლოდა ხუთის წლის კავშირს, მეგობრულს ცხოვრებას. ვინ იცის, ამდენ ხანს იქნებ თქვენ მეუღლესთანაც არ მოგიხდეთ ცხოვრება! (დაიხსომეთ, ჩვენ რომ ერთს დღეს რაიმე მიზეზისა გამო არ გვენახა ერთმანეთი, ათასნაირი სალაპარაკო გვიჩნდებოდა) დიახ, ასეთი ბოლო ხუთის წლის ტკბილის შეკავშირების შემდეგ, როდესაც მე მუდა ვიყოფდი თქვენს სიხარულსა და მწუხარებას!..

თქვენის უკანასკნელის წერილის (ოჰ, რა იეზუიტურის სინაზით მეხვევით და მკოცნით) პოსტ-სკრიპტუმში მატყობინებთ (ნეტა, რას იტყოდა ამაზედ თქვენი საცოლე!?), რომ თუმცა ძლიერ მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეო. განა უფრო კარგს არ იზამდით, პირდაპირ, მარტივად და მოკლედ მოგეწერათ: „ქანნა, ჩვენი კავშირი ამიერიდან



გამოფენა გაგრაში.—გაგრის ტყეების განყოფილება.

შეწყვეტილია: მე ჯვარს ვიწერ და რადგან თქვენ უფრო კარგად მიცნობდით და გიყვარდით უფრო მეტად, ვიდრე სხვას ვუყვარებივარ, ამიტომაც პირველად თქვენ გატყობინებ ამას...“

ასე თუ ისე, ჩემო ძვირფასო პოლ, მაინც არ შეგიძლიანთ, არ მოისმინოთ ჩემი აზრი თქვენს ქორწინებაზედ.

ამ წუთში თითქმის უყურადღებოდ ვტოვებ ჩემს წარსულს და ვკისრულობ სულ სხვა როლს,—როლს დედისას. მსურს გამოვთქვა ჩემი აზრი თქვენზე და დაგანახოთ შედეგი ანუ, უკედ რომ ვსთქვა, გიწინასწარმეტყველოთ მომავალი.

მე ასე მგონია, რომ, როდესაც კაცი ჯვარს იწერს, იმისთვის საჭიროა გამოსცადოს არა მარტო მეგობარი, რომელიც ამორჩეულია სამუდამოდ მასთან ერთად საცხოვრებლად, არამედ თავისი თავიც: ჩაიხედოს თავის გულის სიღრმეში და გადაავლოს თვალი თავის წარსულს. განა თქვენ ასე იქცევით?



გამოფენა გაგრაში.—გამოფენის შესავალი.

აბა, მაშ ჩაიხედეთ სარკეში სერიოზულად და არა იმ სწრაფისა და კმაყოფილების ღიმილით, როგორიც ჩვეულებადა გაქვთ ხოლმე, როდესაც, სასეირნოდ მომზადებული, იხურავთ თავზედ ქუდს და კოპწიად იკეთებთ ხელთათმანებს.... ჩაიხედეთ კარგად და დაინახავთ კაცს, გარეგნობით მართლაც მშვენიერს და სუფთად გამოწყობილს, მაგრამ ამავ დროს ჭაღარა შერეულს, მიმქრალის თვალებით და დაბერებულ-დანაოჭებულის სახის კანით თვალების ძირში და შუბლზედ. ერთის სიტყვით სახის იმ უსიამოვნო ნაკვთებითა ხართ შემოსილი, რომლითაც გვაჯილდოვებს სიბერე, თუმცა ამავე დროს შესაძლებელია ყველა ამის დაფარვა, უკედ რომ ვსთქვათ, ნიღაბის ჩამოფარება სახეზედ თანამედროვე ჰიგიენის შეოხებით. ახლა, თქვენი კუჭიც ცოტათი ცელქობს და ინაზება, ძილი გიბრთხებათ და ნევრალგიაც ხომ კვირაში რამდენჯერმე გესტუმრებათ ხოლმე. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენ ის კაცი ხართ, რომელზედაც შეიძლება ითქვას: „ეს კაცი ჯერ საკმაოდ ჯეელია“. აი, თქვენი ფიზიკური სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, ახლა საქმეს მორალურის მხრივ შევეხოთ. თქვენ ჭკვიანი ხართ, მაგრამ ამავ დროს მოუხეშავი და საშინლად ზარმაცი... მოიგონეთ, რამდენჯერ ვყოფილვარ ხოლმე თქვენთვის ლექსიკონად, გეოგრაფიის რუქად, გრამატიკად, ისტორიად. ასეთ სამსახურს გიწევდით მე, დედაკაცი, რომელმაც განათლება მივიღე მხოლოდ მონასტერში. დარწმუნებული ვარ, გამოსტყდებით, რომ ყოველი თქვენი წერილი ჩემ თვალ წინ იწერებოდა, რათა გამესწორებინა საშინელი ორთოგრაფიული შეცდომები... ოჰ, დიდებულო, მშვიდად განვლილო წარსულო! როდესაც მოვიგონებ ხოლმე ამ წარსულს, თვალებზედ ცრემლი მადგება და მსურს მხოლოდ ტირილი... ტირილი...

ჰო, თქვენი გული ჩვეულებრივია: არც კეთილი და არც ბოროტი, მაგრამ უფრო-კი ბოროტია, როგორც ჩვეულებადა აქვთ მომეტებულ ნაწილს კაცებისას. თქვენ მატყუებდით, მღალატობდით და დასცინოდით სიყვარულს, ნდობას.



გამოფენა გაგრაში.—გზების მოკირწყვლა გამოფენაზე.

თქვენ თავ-დაივიწყებამდე გულ-გრილად სარგებლობდით დედაკაცის კეთილის გრძნობით და უმანკოებით.

კვლავ ვიმეორებ, რომ მომეტებული ნაწილი კაცებისა ამ მიმართულებისანი ხართ!

თქვენ ერთი ღირსება კიდევ მოგეპოვებათ, რომლის აღნიშვნაც საჭიროა, რადგან ამ გვარ რამეს იშვიათად თუ ვინმე დაიკვეხებს. თქვენ მიმზიდველი იყავით; დიაღ, თქვენში რაღაცა ძალა იმალებოდა, რომლის გამოსათქმელად სიტყვები ვერ მიპოვნია... არ ვიცი, რა ძალაა ეს ძალა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ვინც მოისურვებდა თქვენთან ლაპარაკს, ის იხიბლებოდა თქვენის ზრდილობიანის მიხვრა-მოხვრით. ლაპარაკის დროს ამასთანავე თანაუგრძნობდით ხოლმე მობაასეს, იზიდავდით ტკბილის სიტყვებითა და თავ-ბრუ დამსხმევის კომპლიმენტებით. ამ დროს თქვენი სახე თუმცა იღიმებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც გამხელდა, რომ სცრუობდით, ამასვე ამბობდა თქვენი თვალების გამომეტყველება და აგრეთვე თვით თქვენი გულიც.

სწორედ ამასვე წარმოადგენს თქვენ მიერ გამოგზავნილი უკანასკნელი ხუთი-ექვსი წერილი... უკანასკნელი წერილები! ამ წერილებში კიდევ შეჰხვდება კაცი ორთოგრაფიულს შეცდომებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უუმშვენიერესი წერილებია!...



გამოფენა გაგრაში.—სამეურნეო იარაღები.

რას წარმოადგენს მომავალი თქვენი მეუღლე m-elle კლერ დელავალეტტ, რომელიც ალტაცებულად თაყვანსა გცემთ? მესმის, კარგად მესმის, თქვენი გესლით შენიშვნა:

„ნუ ჰკიცხავთ ეგრე ჩემს მეუღლეს, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც თვით თქვენც მოხიბლული იყავით იმავე კაცით“.

სრული ჭეშმარიტებაა ეს, პოლ! მომწონდით და არცა ვფარავ ამას, როგორც თქვენ ამბობთ: „მე მოხიბლული ვიყავი თქვენით“. მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ მაშინ სულ ახალ-გაზდა იყავით, გესმით, და არა „საკმაოდ ახალ-გაზდა“ როგორც ახლა... მაშინ თქვენ ლამაზი იყავით, ღონიერი, ახალ-გაზდა, ლამაზის სახის გამომეტყველებით, ცოცხალისა და მიმზიდველის გრძნობით აღსავსე თვალებით. მაშინ ჯერ კიდევა გქონდათ სუფთა, უმანკო სული. თუმცა უკვე გამოცდილი იყავით სხვა-და-სხვა გვარ შემთხვევით, მაგრამ მოტყუება ჯერ კიდევ არ შეგეძლოთ. მე მაშინ თქვენთვის უპირველესი ვიყავ „განათლებულ ქალთა“ შორის. ახლა-კი,



გამოფენა გაგრაში.—მევენახეობის განყოფილება.

ვფიქრობ, რომ ყოველივე იმ ღირსებას დროთა-ბრუნვის გამოისობით მოკლებული ხართ სამუდამოდ.

მიუხედავად ყველა ამისა, ნუ იფიქრებთ, რომ ნაკლებად მიყვარდეთ. მეც ხომ თქვენთან ერთად დავბერდი, ამიტომ

ჩემთვის იგივე პოლი ხართ, როგორიც პირველად გნახეთ. დიდი უბედურება უნდა მწვევოდა, ისეთი მაგალითად, როგორიც ეხლანდელია, რომ თქვენის გულის სიღრმეში ჩამეხედნა. აქა-



გამოფენა გაგრაში. – მეაბრეშუმეობის განყოფილება

მომდე ვცდილობდი, არაფერი არ შემემჩნია, არაფერზედ არ მეფიქრნა და ყველაფერზედ თვალები დამეხუჭნა. აქამომდე ვეტრფოდი ჩვენს ახალ-გაზდობას, რაიცა ჩვენს ნამდვილს სიყვარულს შეადგენდა.

მაგრამ ის,—ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგობარო,—ის ხომ პაწაწა, სულ პაწაწა პანსიონერია, ეხლახან გამოსული მონასტრიდან! მაშ რაღაზედ უნდა იყოს ის დაიმედებულ-დამყარებული? რას მოელის იგი თქვენგან? უეჭველია ყოველსავე იმას, რაც მე ვპოვე თქვენში, როდესაც შეგიყვარეთ, როდესაც თქვენ დანაშაულს არად ვაგდებდი, ყველაფერს გაპატიებდით ხოლმე და არაფერს გთხოვდით, გარდა ახალ-გაზდობისას! უეჭველია ისიც იმასვე მოითხოვს თქვენგან, რაც თქვენ შემომწირეთ, მე მაჩუქეთ და რის გაჩუქებაც თქვენ ეხლა აღარ ძალ-გიძთ, რადგან უკვე მე მაჩუქეთ, ნიშნად უღრმესის სიყვარულისა, მე მაჩუქეთ მთელი



გამოფენა გაგრაში. - ფორთოხლის ჭალა.

თქვენი ჯან-ღონით სავსე ახალ-გაზდობა, მხიარულება, საზოგადოთ ყოველივე ის, რასაც-კი ცხოვრება თხოულობს... ნუ, ნუ სცდილობთ დამარწმუნოთ, რომ ყოველივე ეს კიდევ მოგეპოვებათ. თუ რომ ჯერ კიდევ მოგეპოვებათ მხიარულება, ეს იმის ნიშანია მხოლოდ, რომ ჩვენ მიერ განვლილ წარსულის მოგონება ჯერ არ გამქრალა. ბევრი კარგი დრო, აღგზნებული ხვევნა-კოცნა გამოგვივლია თქვენს პაწია ოთახში, ბალიუს ქუჩაზე... ოჰ თითქმის არაფრად გვიღირს, რომ კვლავ გავახალგაზდეთ...

შემდეგში რაღა უნდა მოგელოდეთ? მე ასე ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ასე მოხდება: თქვენს შორის, როგორც საზოგადოდ განათლებულს ხალხში, აუცილებლად უკმაყოფილება ჩამოვარდება. მიზეზი ის იქნება, რომ იგი ჯერ გამოუცდელია სიყვარულში, რადგან ჯერ არვინ ჰყვარებია, თქვენ-კი მოღალულიცა ხართ... შეიძლება კარგად მოექცეთ ცოლსა, მთელის თქვენის სინაზით მოეპყრათ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ არა გამოვა-რა, რადგან არც ერთს განათლებულს ქმარს არ ძალ-უძს მისცეს მეუღლეს წმინდა, ახალგაზდური სიყვარული. ამის და მიუხედავად კლერ ლავალეტ თავის გულ-უბრყვილობით ეცდება როგორმე შეგიყვაროთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭკვიანი და ძვირფას გულის პატრონი ხართ. მაგრამ რას იზამთ იმ შემთხვევაში, როდესაც დარწმუნდება თქვენს არა-ჩვეულებ-



გამოფენა გაგრაში.—პრინც ოლდენბურგელის მამულის „ოტრადნოე“-ს განყოფილება.

რივს ეგოიზმში, თქვენს არარაობაში? იმის უბრალო, საწყალი არსება გახდები და მაშინ, მაშინ ვერას გზით ვერ დაიცავთ თქვენ თავს... ის ქალი, თქვენი მეუღლე, რომელიც რამდენსამე უცხო ენაზე ლაპარაკობს, მუდამ სირცხვილის ალს მოგდებთ. იმისი სიახალგაზდავე, სიყმაწვილე, მოსვენებას არ მოქცემთ, როგორც სინიდისის მქენჯნავი მხილება, მაშინაც-კი, როდესაც მთლად დაანებებს თავს თქვენთან ლაპარაკს.... დარწმუნებული ვარ, იგი საშინლად მოგბეზრდებათ, გაექცევით და, ადრე თუ გვიან, კვლავ მიჰყოფთ ხელს ძველებურს დროს გატარებებს.

აი, დასასრული ასე ფრთხილად დაწყებულ საქმისა. გაიხსენეთ, რომ თქვენი მეუღლეც ისეთ ვისმე დაუწყებს ძებნას, რომელიც ახალგაზრდობას მიანიჭებს. თქვენც აუცილებლად დაუბრუნდებით წარსულს, რომელიც უცვლელია თქვენთვის.

დიახ, დარწმუნებული ვარ ყოველსავე ამაში, ამიტომაც იმის მაგიერ, რომ ჩემი თავი უბედურ კაცად მიმაჩნდეს, უუბედნიერეს ადამიანად მიმაჩნია.

მე მეცოდება მხოლოდ ის ბალღი, რომელიც ამ ახლო მომავალში დაგიწყებთ ხვევნას თავის პაწაწა, ბავშვურის ხე-

ლებით, რომელსაც ეცდებით სიყვარული მიანიჭოთ, რამდენისამე კვირით მაინც.

დაქორწინდით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეცადეთ ბედნიერი იყოთ,—მე ნებას გაძლევთ. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, თუ რომ ეს ჩემი აზრი გამართლდა, მომიგონეთ და დაბრუნდით ჩემთან... კვლავ მომიგონეთ ნიშნად წარსულის სიყვარულისა, რომელიც ასე ღირს-სახსოვარი იყო...

რაღა საჭიროა ახალ კავშირების ძებნა: ეს არც თქვენსა და არც ჩემს ოცნებას არ შეადგენს...

ჯ. მოსულიშვილი.



მასწავლებელი. ვთქვათ, სიმონ, შენ ორი შაური გაქვს ჯიბეში, განომ ამოიღო და თავის შაურს მიუმატა, რა იქმნება?

შაგირდი. ვცემ განოს.

### მ კ ი თ ხ ა ვ თ ა ნ



ქალი. აბა. ერთი მითხე, რამდენჯერ ვუღალატებ ჩემს ქმარს.

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდამ)



მუშტარი. აკი გითხარი, მეჩქარება და ერთი კვერცხი მომიტანე-მეთქი!

მსახური. სწორედ იმიტომ მოგიტანეთ ორი, რაკი გეჩქარებათ, ერთი უეჭველად ლაყე გამოვა.



მგზავრი. ეს რა მოგიტანია? თუ ყავაა, ჩაი მოიტანე, თუ ჩაია—ყავა მომიტანე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дов. ценз. Тифлисъ, 29 октября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ის.